როგორ დავკარგეთ მეორე ადგილი...

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 18 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) _ ცსკა (მოსკოვი): 0:1 (0:0).

ცსკა: ბაუჟა, სემიგლაზოვი, ლინიაევი, ბაგრიჩი, შესტერნევი, დოროდნიხი, სტრეშნი, ამბარცუმიანი, მამიკინი, ფომიჩევი, ორეშნიკოვი (ფედოტოვი).

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, დათუნაშვილი, ბარქაია, კალოევი, გ. სიჭინავა, მესხი (მელაშვილი).

მსაჯი ნ. კრილოვი (კუიბიშევი).

წინამდებარე წერილის სათაური შეიძლება ერთგვარად არ შეესაბამებოდეს ჩვენს დიდ სიხარულს და იმ მაღალ წარმატებას, რომელიც წელს მოიპოვეს თბილისის “დინამოს” ფეხბურთელებმა. გამოცდილი მწვრთნელის მ. იაკუშინის ხელმძღვანელობით კოლექტივმა თითქმის შეუძლებელი შეძლო, ძირფესვიანი გარდატეხა შეიტანა თამაშში, ბრწყინვალედ ჩაატარა უმძიმესი სეზონი და მიაღწია მესამე საპრიზო ადგილს. ბრინჯაოს მედლები _ მეტად სასიხარულო მოვლენაა.

მაგრამ...

მაგრამ მაინც საწყენია, ის, რომ განვლილ კვირას გუნდმა ხელიდან გაუშვა კიდევ უფრო მაღალი ადგილი და უფრო კეთილშობილი ლითონი _ ვერცხლის მედლები.

18 ნოემბრის მატჩებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირველი სამი ადგილის განაწილებისათვის. იყო რამდენიმე ვარიანტი, რომელთა შედეგად თბილისელები ან უშუალოდ, ყოველგვარი ტრანზიტის გარეშე გადიოდნენ მეორე ადგილზე, ან კიდევ მეტი _ უფლებას ღებულობდნენ ებრძოლათ პირველი ადგილისათვის. საამისოდ მოსკოვის სპარტაკელებს უნდა წაეგოთ მატჩი კიევში, მოსკოვის დინამოელებს ფრედ ეთამაშათ ან დამარცხებულიყვნენ კიევში, მაგრამ ყველა ამ ვარიანტში მთავარი და უცვლელი იყო ერთი: თბილისის “დინამოს” გამარჯვება საკუთარ სტადიონზე ცსკა-სთან.

და სწორედ ეს უკანასკნელი ვარიანტი, რომლის განხორციელება თვით ჩვენს ფეხბურთელებზე იყო დამოკიდებული, არ გამართლდა.

თბილისელებმა აშკარად სუსტად, ყოველგვარი ტემპისა და აგრესიის გარეშე ჩაატარეს პირველი ტაიმი. ცსკა თამაშობდა ნამდვილ “მოსკოვურ სტილში” _ შუამარბები და ნახევარმცველები ბევრს მოძრაობდნენ მინდვრის შუაგულში, ბურთი ტეხილი ხაზით მოგზაურობდა ერთი მოთამაშიდან მეორისაკენ და გადაცემათა რაოდენობა ზოგჯერ 5-7-ს აღწევდა, მაგრამ ეს მტკიცე კონტროლი ცენტრში იშვიათად თავდებოდა მწვავე დაბოლოებით მოწინააღმდეგის კართან და თუ მამიკინმა რამდენიმეჯერ შეძლო სახიფათო პოზიციაში გადასვლა, ეს მის ინდივიდუალურ ღირსებებს უნდა მიეწეროს.

მასპინძელთა სუსტი თამაში პირველ 45 წუთის მანძილზე მთლიანად თავდასხმის ბრალია. ჩვენი ფორვარდები პასიურად იბრძოდნენ ბურთისათვის, არ აჩერებდნენ მას წინა ხაზზე, გადაცემისას სისტემატურად კარგავდნენ მისამართს და ამის გამო ცსკა-ს საშუალება მიეცა თავისი ორი ცენტრალური მცველიდან ერთ-ერთი (შესტერნევი) სამოქმედოდ გაეგზავნა ნახევარდაცვის ზონაში.

თავიანთი ნამდვილი თამაში დინამოელებმა მხოლოდ მეორე ტაიმში აჩვენეს. მართალია, მატჩის დასასრულისათვის შეტევის მთლიანობა დაირღვა, მთელი რიგი მოთამაშეები (პირველ ყოვლისა, ბარქაია, გ. სიჭინავა, იამანიძე) გაუთავებლად ატარებდნენ ბურთს და არ აწოდებდნენ პარტნიორებს მაშინაც კი, როცა თამაშის ლოგიკა კარნახობდა მხოლოდ ერთ ტაქტიკურ გამოსავალს _ გადაცემას, მაგრამ მაინც გუნდს ჰქონდა უდიდესი ტერიტორიული უპირატესობა, რომელიც დრო და დრო განუწყვეტელი შტურმის სახით მთავრდებოდა სტუმართა კართან. გოლის

გატანა სათითაოდ შეეძლო ყველა ჩვენს ფორვარდს, რომლებსაც მეტად მოფიქრებულად, უნარიანად ეხმარებოდა ჩოხელი, მაგრამ ეს უაღრესად საჭირო გოლი არ ჩანდა.

არმიელები აშკარად აჭიანურებდნენ დროს, ვინაიდან ამ სიტუაციაში ანგარიში 0:0 მათთვის საუკეთესო შედეგს წარმოადგენდა. თითქოს ასეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ მატჩის ბოლო წუთზე სრულიად ელემენტარულ ვითარებაში სტრეშნიმ მიიღო ბურთი საჯარიმო მოედანზე და მცველთან ბრძოლაში მოახერხა კარში დარტყმა. კოტრიკაძემ ვერ მოასწრო რეაგირება და გაუშვა გოლი _ 0:1.

... აი ასე დაკარგა თბილისის "დინამომ" მეორე ადგილი.

ბ. ქორქია.
"ლელო", 20 ნოემბერი 1962 წ.